ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №68-090617-01
(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000037)

თბილისი **09.06.2017 წელი**

ერთის მხრივ სს"საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"(შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში გივი ბახტაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,იუ–ჯი–თი'' (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით, ვმოქმედებთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 მარტის №9 ბრძანებით დამტკიცებული „უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების", აგრეთვე „2017-2018 წლების განმავლობაში უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის №515 განკარგულების, კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას;

1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

1.1.8. სატენდერო დოკუმენტაცია - კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია 50 (ორმოცდაათი) ცალი სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროს (შემდგომში „საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა დანართი N1–ის, დანართი N2-სა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება") 5899.50 (ხუთი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ერთი ერთეული სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროს ღირებულებაა 117.99 (ასჩვიდმეტი ლარი და 99 თეთრი) დღგ-ჩათვლით.
3.3. სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. **მხარეთა ვალდებულებები**

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შესაბამისად;
4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;
4.1.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
4.1.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
4.1.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი;
5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ განახორციელოს საქონლის პირველი მიწოდება გამარჯვებულად გამოვლენიდან (08.05.2017 წ) არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა;
6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე. შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: public@gogc.ge ; მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი Giorgi.Londaridze@ugt.ge);
6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში;
6.5. თუკი საქონლის მიწოდების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ საქონლის მიწოდება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებეული საქონლის მიწოდებისას მხარეებს შორის ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად;
7.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი ფინანსურ საკითხებში გივი ბახტაძე;

8. გარანტია

8.1. საქონელზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან სამი წლის განმავლობაში;

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს. მიმწოდებელი განახორციელებს ხარვეზის აღმოფხვრას საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში ან ახლით შეცვლას წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8.3. საგარანტიო პერიოდში ერთი და იგივე სტანდარტული უწყვეტი კვების წყარო შესაძლებელია არაუმეტეს 3-ჯერ დაექვემდებაროს შეკეთებას ან ახლით შეცვლას, ხოლო შემდგომი საგარანტიო შემთხვევის დადგომისას, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს უწყვეტი კვების წყაროს შეკეთებაზე ან ახლით შეცვლაზე. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ დაეკისრება საჯარიმო თანხის გადახდა იმ უწყვეტი კვების წყაროს (წყაროების) საწყისი სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობით, რომლებსაც საგარანტიო მომსახურება დაჭირდებათ სამზე მეტი ოდენობით. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს საგარანტიო ვადის ამოწურვამდე.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

10.2 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) უწყვეტი კვების წყაროების ხელშეკრულებით განსაზღვრული საორიენტაციო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

10.3 საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი/დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით, ხოლო საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

10.4 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით.

10.5 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

10.5.1. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.5.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

12 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 სატენდერო კომისია, ბაზრის შესაბამისი კონიუნქტურის გათვალისწინებით, ან დაინტერესებული პირის მხრიდან წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, უფლებამოსილია, ორჯერ გადახედოს მიმწოდებლის მიერ უწყვეტი კვების წყაროების შემოთავაზებულ ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი უწყვეტი კვების წყაროების ერთეულის ფასის ცვლილება. მიმწოდებელსა და სატენდერო კომისიას შორის შეთანხმების მიუღწევლობა იწვევს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტას, მიმწოდებლის მიმართ რაიმე სანქციის გამოყენების გარეშე.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 (ათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13 ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14 სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

15 სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სს"საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
ს/კ - ს/კ 206237491
მისამართი: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21
ტელეფონი: (032) 224 40 40
საბანკო რეკვიზიტები:
სს"თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ. N GE71TB7895736030100001

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-თი
ს/კ – 204892964
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ №17ა
ტელეფონი: 2 220505
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№ GE88BG0000000261644601
სს „საქართველოს ბანკი'', კოდი: BAGAGE22,

დირექტორი ფინანსურ საკითხებში
გივი ბახტაძე

გენერალური დირექტორი
ერმილე სულაძე

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №68-090617-0

დანართი #1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ბრენდისა და მოდელის დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	უწყვეტი კვების წყარო	CyberPower VALUE600EI	50 ცალი	117.99	5899,50
				სულ დღგ-ს ჩათვლით:	**5899,50**

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-თი

გენერალური დირექტორი
ერმილე სულაძე

დანართი #2

უწყვეტი კვების წყაროს ტექნიკური მაჩვენებლები

#	სავალდებულო მოთხოვნები	ტექნიკური მახასიათებლები
1	ბრენდის დასახელება:	CyberPower
2	მოდელის დასახელება:	VALUE600EI
3	მწარმოებელი ქვეყანა:	ჩინეთი
4	სიმძლავრე:	600VA / 360Watts
5	გამომავალი ძაბვა ბატარიის რეჟიმში:	230V ცვალებადობა არაუმეტეს +/-10%.
5	გამომავალი ძაბვა კვების რეჟიმში:	230V ცვალებადობა არაუმეტეს +/-10%.
6	ავტომატური ვოლტერაჟის რეგულატორი:	ავტომატური ვოლტერაჟის რეგულატორი
7	უწყვეტი კვების წყარო არ უნდა გადაირთოს ბატარიის რეჟიმში:	დაბალი ზღვარი 165V - მაქსიმალური ზღვარი 280V
8	ბატარიის ტიპი:	12 V, არანაკლებ 7Ah
9	ბატარიაზე მუშაობის დრო:	სრულ დატვირვაზე არანაკლებ 3 წუთი
10	გამომავალი შემაერთებლები:	არანაკლებ 2 ერთეული
12	გამომავალი შემაერთებლის ტიპი:	IEC 320 (მოყვება ორი კაბელი)
13	შემომავალი სიხშირე:	არანაკლებ 50Hz არაუმეტეს 60Hz (ცვალებადობა არა უმეტეს +/- 3Hz).
14	განგაში:	ვიზუალური LED და ხმოვანი სიგნალები
15	უწყვეტი კვების წყაროს ზომა:	100მმ x 140მმ x 300მმ

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-თი

გენერალური დირექტორი
ერმილე სულაძე

CyberPower®
Reliability. Quality. Value.

CyberPower Systems (Россия и СНГ) Inc
119049, Россия, Москва, ул. Донская, д. 4, стр. 3
119049, Russia, Moscow, Donskaya str., 4, bld. 3
www.cyberpower.ru

RE: CON170000037 to State Procurement Agency

Date: April 25, 2017

MANUFACTURER'S AUTHORIZATION FORM

WHEREAS CyberPower Systems Inc., who are official manufacturer of UPS Value 600EI, having factories in China do hereby authorize «UGT» LTD To submit a Bid on the tender CON170000037 to State Procurement Agency, the purpose of which is to provide the following product , manufactured by us:

Capacity	600VA/360W
Output current per power mode (On Power Voltage)	230V+/-10%
Output plug IEC 320 C14 x 3 (2 cables followed)	IEC 320 C14 x 3 (2 cables followed)
On Battery Voltage	230V +/- 10%
Automatic Voltage Regulator	Yes
Input Voltage Range	165V-280V
Battery	12V/7Ah
Runtime	3 min under 100% load*
Output plug	IEC 320 C14 x 3
Input Frequency	50Hz/60Hz +/- 3Hz Autosensing
Alarms	Audio and LED indication
Dimensions	100 x 140 x 300
Warranty	3 years

*100% load considers 300 W consumption.

UGT is official partner of CyberPower Systems Inc. products with certified service centers.

Signed:

Name: Alexandr Pereverzev

Title: General Manager for CyberPower Systems Inc (Russia, CIS, ex-USSR territories)

ხელწერილი

09.06.2017 წ.

ხელშეკრულება N68-090617-01

შპს“იუ-ჯი-თი“

ს/კ 204892964

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, წინამდებარე ხელწერილის შედგენით ვადასტურებთ, რომ გავეცანით ხელშეკრულების პირობებს და ვეთანხმებით (ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში).

ასევე, ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მერაბ მაისურაძე _____

ვახტანგ ხელაძე _____

მზექალა გაზდელიანი _____

ლევან ჩხეიძე _____

მერაბ დადუნაშვილი _____

არჩილ ბერიანიძე _____